



გიორგი მაჭარაშვილი

წმიდა გიორგი ათონელი და კათოლიციზმი

გიორგი მაქარაშვილი

წმიდა გიორგი ათონელი და კათოლიციზმი

თბილისი
2007

წიგნი წარმოადგენს სიტყვისგებას იმ მეცნიერთა მიმართ, რომლებიც ცდილობენ წმიდა გიორგი ათონელი წარმოაჩინონ, როგორც კათოლიციზმის მომხრე და მართლმადიდებელი სარწმუნოების არამტკიცე აღმსარებელი.

წარმოდგენილი პუბლიკაცია, წმიდა იოანე ოქროპირის სიტყვით რომ ვთქვათ, მიზნად ისახავს „მართლითა მით სარწმუნოებითა მოზღლუდვილთა გულსავსე ყოფას“.

გარეკანი გამშვენებულია გიორგი ათონელის ჩვენამდე მოღწეული ერთ-ერთი უძველესი ფრესკული გამოსახულებით. ღირსი მამის სახე შემოგვინახა ლორეს ახტალის საკათედრო ტაძრის კედლებმა.

**ღირსო და ღმერთშემოსილო მამაო ჩვენო გიორგი,
ევედრე ღმერთსა ჩვენთვის, ამინ.**

ავტორი მადლიერებით მიიღებს გულისხმიერი მკითხველის შენიშვნებს. gi.mach@yahoo.com

წარმოდგენილ პუბლიკაციაში ჩვენ განვადგინებთ ქართველ საეკლესიო მოღვაწეთა კათოლიციზმისადმი დამოკიდებულების განხილვას¹. ამჯერად მიზნად დავისახეთ წარმოვაჩინოთ, თუ როგორ დამოკიდებულებას იჩენდა კათოლიციზმისადმი მართლმადიდებელი საქართველოს მნათობი, - „მოშურნე სარწმუნოებისად მსგავსად დიდისა ელიაჲსა“², - წმიდა გიორგი ათონელი.

სამწუხაროდ, ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში საკმაოდ ფეხმოკიდებულია უმართებულო მოსაზრებები მოცემულ საკითხთან დაკავშირებით. ცალკეული მკვლევრები მიიჩნევენ, რომ გიორგი მთაწმიდელი იჩენს „სიმპათიებს ლათინი ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი“³;

¹ . ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ჩვენი შრომები: ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე წმიდა ფოტი დიდი ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში, ჟურნალი „რელიგია“, 2001 წ., #7-8-9, გვ. 55-59; პაპისტური მსოფლიო კრებების უარყოფა ქართველთაგან და ეკლესიური ერთობის დარღვევა რომთან (XI-XIII საუკუნეთა ქართული საკანონმდებლო ძეგლების მიხედვით), აღმანახი „კავკასიის მაცნე“, 2002 წ., #5, გვ. 40-43; მეუფე კირიონი და მიხეილ თამარაშვილი (კირიონის კრიტიკული შენიშვნები მ. თამარაშვილის პირველ მონოგრაფიაზე), ჟურნალი „მნათობი“, 2002 წ., #5-6, გვ. 145-147; წმიდა ექვთიმე ათონელის დამოკიდებულება ლათინო-პაპიზმისადმი, ჟურნალი „საისტორიო შტუდიები“, 2002 წ., #3, გვ. 30-40.

² . გიორგი მცირე, ცხორებამ გიორგი მთაწმიდელისად, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, ი. აბულაძის რედაქციით, წიგნი II, თბ., 1967 წ., გვ. 204. (შემდეგში: გ. მცირე, ცხორებამ...).

³ . ელენე მეტრეველი, ათონის ქართველთა მონასტრის სააღაპე წიგნი, თბ., 1998 წ., გვ. 98; ნუგზარ პაპუაშვილი, გიორგი მთაწმინდელი რომაელთა სარწმუნოების შესახებ, გაზეთი „საბა“, ივნისი, 2001 წ., #6, გვ. 5; მურმან პაპაშვილი, საქართველო-რომის ურთიერთობა VI-XX სს., თბ., 1995 წ., გვ. 63, 68; ელგუჯა ხინთიბიძე, ქართული აგიოგრაფიული ტექსტის XIII საუკუნის ბერძნული და ლათინური თარგმანი, კრებული „ΑΝΑΘΕΣΙΣ ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი“, თბ., 1999 წ., გვ. 312.

გამოხატავს „შემწყნარებლობას რომის ეკლესიის აღმსარებლობის მიმართ“⁴; „აშკარა უპირატესობას ანიჭებს რომაელთა სარწმუნოებას“⁵ და „ფილიოკვე დოგმატურ ცდომილებად არ მიაჩნია“⁶.

მათივე აზრით, იგი რომის თეოლოგიურ პოზიციას „თანაუგრძნობდა“⁷ და „ის დოგმატური კამათი, რაც დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის იყო აღძრული, გიორგი მთაწმიდელს უსაფუძვლოდ მიაჩნდა“⁸. იგი თურმე „იცავდა კათოლიკურ ეკლესიას,... მას სურდა ქართული ეკლესია უშუალოდ შესულიყო რომაული კათოლიკური ეკლესიის მოღვაწეობის სფეროში“⁹...

ამავე დროს, წმიდა გიორგი ათონელს ადარებენ ისეთ პროტესტანტ რეფორმატორებს, როგორებიც არიან მარტინ ლუთერი, თომას მიუნცერი და სხვანი¹⁰; თითქოს მან „საფუძველი ჩაუყარა ქართულ ეკლესიაში რეფორმაციას“¹¹; თითქოს იგი ფრანცისკო ასიზელის მსგავსი რეფორმატორია¹² და მან „დიდი საეკლესიო რეფორმა ჩაატარა“¹³, რომლის

⁴ . ექვთიმე კოჭლამაზაშვილი, ანა ღამბაშიძე, ათანასე ალექსანდრიელის „სიმბოლოს“ ძველი ქართული თარგმანი, კრებული „მრავალთავი (ფილოლოგიური და ისტორიული მივანი)“, XVIII, თბ., 1999 წ., გვ. 161.

⁵ . ე. მეტრეველი, ხს. წიგნი, გვ. 99.

⁶ . ნ. პაპუაშვილი, ხს. წიგნი, გვ. 5.

⁷ . იქვე.

⁸ . ე. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე, ხს. შრომა, გვ. 161.

⁹ . მ. პაპაშვილი, ხს. წიგნი, გვ. 69 (აქ ავტორის მიერ ხდება დამოწმება და გაზიარება აკაკი ბაქრაძის მოსაზრებისა).

¹⁰ . ვახტანგ აბაშმაძე, ქართული რენესანსის სათავეებთან, ჟურნალი „სამართალი“, 1992 წ., #2, გვ. 39.

¹¹ . იქვე.

¹² . ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, 2, თბ., 1965 წ., გვ. 406.

¹³ . ელგუჯა ხინთიბიძე, ქართველი წმიდა მამის აზრი ბერძნულ-რომაულ საეკლესიო კონფლიქტზე XIII საუკუნის ლათინურ კრებულში, ჟურნალი „ლიტერატურა და სხვა“, 1991 წ., #1, გვ. 22; ე. ხინთიბიძე, ქართ. აგიოგრ. ტექსტის... თარგმანი, გვ. 311.

შედეგადაც დაირღვა ქართულ ეკლესიაში წოდებრიობის პრინციპი¹⁴; თითქოს მისი „ინიციატივით განხორციელდა მნიშვნელოვანი რეფორმა,... რომლის მსგავსი რეფორმა დასავლეთ ევროპაში გაცილებით გვიან, XIII საუკუნეში, განხორციელდა“¹⁵ და ასე შემდეგ.

წმიდა გიორგი ათონელთან დაკავშირებული ეს უსაფუძვლო მოსაზრებები დამყარებულია შემდეგ ფაქტებზე:

I. იგი დადებითად აფასებს ქართველ და რომაელ ბერ-მონაზონთა მეგობრობას და იწონებს ათონის მკვიდრ ბენედიქტელთა მონაზვნურ ღვაწლს (წყარო: გიორგი მთაწმიდელის მიერ აღწერილი წმიდა იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება¹⁶);

II. იმპერატორ კონსტანტინე დუკას წინაშე წარდგომისას, რომის ოფიციალური ეკლესია არ მოიხსენია ერეტიკულ საკრებულოდ, მიუხედავად იმისა, რომ ამ აზრის გამოთქმა მოუხდა 1054 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგ, კერძოდ, 1065 წელს (წყარო: გიორგი მცირის მიერ აღწერილი წმიდა გიორგი ათონელის ცხოვრება¹⁷);

III. მის ერთ დოგმატურ თარგმანში მიკვლეულია ფრაზა: „სული წმიდაა - მამისაგან და ძისა; არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით“ (წყარო: წმიდა ათანასე დიდის სიმბოლოს გიორგი ათონელისეული თარგმანი მასზე დართული ღირსი გიორგის ანდერძითურთ¹⁸);

¹⁴ . ე. ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1982 წ., გვ. 113.

¹⁵ . ზურაბ ჭუმბურიძე, ქართულ ხელნაწერთა კვალდაკვალ, თბ., 2000 წ., გვ. 216.

¹⁶ . გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრება იოვანესი და ეფთჳმესი, ძვ. ქართ. აგიოგრაფ. ლიტ. ძეგლები, წიგნი II, გვ. 65-66; ათონის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, საიუბილეო გამოცემა საეკლ. მუზეუმისა, თბ., 1901 წ., გვ. 30-32.

¹⁷ . გიორგი მცირე, ცხოვრება..., გვ. 178-180.

¹⁸ . ე. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე, ხს. შრომა, გვ. 155, 157.

IV. ბაგრატ მეფის მოწვევით სამშობლოში ჩამობრძანებულმა ღირსმა მამამ გარკვეული კანონიკური შენიშვნები გამოსთქვა საქართველოს ეკლესიაში არსებული მდგომარეობის შესახებ (წყარო: გიორგი მცირის გიორგი ათონელის ცხოვრება¹⁹).

ქვემოთ თანმიმდევრობით განვიხილავთ აღნიშნულ საკითხებს და წარმოვაჩენთ, რის საფუძველზე არ ვეთანხმებით ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში გავრცელებულ ზემოხსენებულ მოსაზრებებს.

I. გიორგი ათონელმა, ღირსი იოვანესა და ექვთიმეს ღვაწლის აღწერისას, გამოიჩინა თუ არა „სიმჰათიები ლათინი ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი“ -

მიგვაჩნია, რომ არა. რადგან იგი თავის თხზულებაში ერთხელაც კი არ ახსენებს არც ლათინ ბერებსა და არც კათოლიკურ სარწმუნოებას (შესაბამისად, არც აქებს და არც ამაგებს მათ).

ღირსი მამა საუბრობს ქართველებთან ვენევენტოს დუკის ძმის, ლეონ დიდი ბერისა და მის მოწაფეთა მეგობრობის შესახებ. ისინი მხოლოდ წარმომავლობით იყვნენ რომაელნი, ხოლო სარწმუნოებით - ნამდვილი მართლმადიდებლები (როგორც, მაგალითად, წმიდა ანტონ რომაელი და სხვა არაერთი რომაელი მოღვაწე). ამის თაობაზე ჩვენ უკვე გამოვთქვით მოსაზრება²⁰.

ამჯერად მოკლედ შევნიშნავთ მხოლოდ, რომ გიორგი ათონელის თხზულებაში მართლაც მჟღავნდება სიმჰათიები რომაელი მართლმადიდებლებისადმი. ღირსი მამა აღნიშნავს, რომ ისინი „კეთილად და წესიერად ცხოვნდებიან კანონსა და

¹⁹ . გიორგი მცირე, ცხოვრებაჲ..., გვ. 162-163.

²⁰ . გ. მაჭარაშვილი, წმიდა ექვთიმე ათონელის დამოკიდებულება ლათინო-პაპიზმისადმი, კრებული „საისტორიო შტუდიები“, 2002 წ., #3, გვ. 30-40.

განგებასა ზედა წმიდისა ბენეტიკტესსა, რომლისა ცხორება წერილ არს დიალოლონსა შინა“²¹.

ბენედიქტელთა ქება გიორგი ათონელის მხრიდან არ უნდა გავიგოთ, როგორც მაინცდამაინც სარწმუნოებით ლათინი ბერების ქება. რადგან წმიდა ბენედიქტე ნურსიელი იმთავითვე დიდად იყო პატივდებული მართლმადიდებელ აღმოსავლეთში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ბენედიქტელთა ორდენი დაარსდა VI საუკუნეში²² (მანამ, სანამ ეკლესიური ერთობა დაირღვეოდა რომსა და მართლმადიდებელ აღმოსავლეთს შორის).

ათონზე მოღვაწე კეთილმოწესე რომაელი ბერების შესახებ საუბრისას, გიორგი ათონელი ახსენებს წმიდა გრიგოლ დიდის „დიალოლონს“. გასათვალისწინებელია, რომ ხსენებული თხზულების ძველი ქართული თარგმანი შესრულებულია გიორგი ათონელის სახელოვანი წინამორბედის ღირსი მამა ექვთიმეს მიერ²³. სწორედ იმ წმიდა ექვთიმე ათონელის მიერ, რომლის დროსაც მოხდა ივირონის ლავრაში რომაელი ბერების შეკედლება²⁴.

ექვთიმე ათონელის შემოქმედებიდან თვალნათლივ ჩანს, რომ იგი ნამდვილად არ იყო კათოლიკური სარწმუნოებისადმი სიმპათიებით გამსჭვალული. მაგალიად მან, „დიალოლონის“ თარგმნისას, საერთოდ გვერდი აუარა ისეთ ადგილებს, სადაც ფილიოკვესა და განსაწმედელის შესახებ ლათინური სწავლების ძირები შეიძლება დავინახოთ²⁵.

²¹ . გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ..., გვ. 65-66.

²² . აკაკი გელოვანი, რწმენა, ღმერთები, ადამიანები, რელიგიურ ტერმინთა ლექსიკონი, თბ., 1990 წ., გვ. 37.

²³ . ნათელა სოხაძე, გრიგოლ დიდის „დიალოლონი“, თბ., 2002 წ., გვ. 5, 51, 64.

²⁴ . გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ..., გვ. 65-66.

²⁵ . ნ. სოხაძე, ხს. წიგნი, გვ. 73-74, 76.

რა თქმა უნდა, ღირსი ექვთიმე ასე მოიქცა კათოლიციზმთან დოგმატური უთანხმოების გამო²⁶.

ცნობილია ასევე, რომ წმიდა ექვთიმე უშელავათო შეუწყნარებლობას იჩენს ლათინური ტრადიციებისადმი შაბათის მარხვის²⁷, სამღვდელოთა სრულიად უქორწინებლობის (ანუ ცელიბატის)²⁸ და წყალდაურთავი ღვინით ევქარისტის აღსრულების შესახებ²⁹. და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, სწორედ ექვთიმე ათონელის ღვაწლით საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრდა წესი,³⁰ რომლის მიხედვითაც მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულზე (როდესაც ანათემატიზმები იკითხებოდა ერესების

²⁶ . იქვე.

²⁷ . მცირე სჯულისკანონი, ე. გიუნაშვილის გამოცემა, თბ., 1972 წ., გვ. 32-33.

²⁸ . იქვე, გვ. 25.

²⁹ . ნანა ჩიკვატია, ექვთიმე მთაწმიდელი ერესების წინააღმდეგ („წინამძღვარში“ დაცული 14 შეჩვენება), კრ. „მრავალთავი“, XVIII, 1999 წ., გვ. 140-142; ასევე იხ. „განჩინებად მსოფლიოთა მღვდელთათჳს...“ (თხზულების ტექსტი გამოქვეყნებულია ვარლამ დონდუას წიგნში: საისტორიო ძიებანი, 2, თბ., 1973 წ., გვ. 51).

³⁰ . კ. კველიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960 წ., გვ. 485; ე. კოჭლამაზაშვილი, დიდი სინური კურთხევანის რედაქციული თავისებურებანი (კოდიკოლოგიურ-ლიტურგიკული ნარკვევი), თბ., 2002 წ., გვ. 14. აქ პატივცემულ მკვლევარს, მართალია, წმიდა ექვთიმეს მიერ თარგმნილი სინოდიკონი ერევა VI კრების ძეგლისწერაში, მაგრამ იმას კი სამართლიანად უთითებს, რომ სინოდიკონის წმიდა არსენ იყალთოელისეული რედაქციისგან განსხვავებით, რომელიც მხოლოდ შიომღვიმის ტიპიკონშია შემონახული, სწორედ წმიდა ექვთიმეს თარგმანი დამკვიდრდა ქართულ ლიტურგიკულ პრაქტიკაში. ექვთიმე ათონელმა თარგმნა „ძეგლისწერაჲ სარწმუნოებისაჲ“, ანუ სინოდიკონი მართლმადიდებლობის ზეიმის დღესასწაულისა (იხ. მცირე სჯულისკანონი, გვ. 10-12; კ. კველიძე, ხს. წიგნი, გვ. 485), სადაც დაგმობილია „ყოველივე, რაოდენცა აღიწერა“ წმიდა ფოტი პატრიარქის შემასმენელთა (ანუ რომაელი პაპისტების - გ.მ.) მიერ მის წინააღმდეგ, რამეთუ „ცუდმცა არს და ამაო“ (მცირე სჯულისკანონი, გვ. 130).

წინააღმდეგ) რომაული პაპიზმის, ანუ კათოლიციზმის, დაგმობაც უნდა ხდებოდეს.

ძნელად დასაჯერებელია, რომ ამგვარი ამკარად ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე ივირონის ლავრაში შეიკედლებდა რჯულით ლათინებს, შემდეგ კი მათ მონასტრის აგებაშიც დაეხმარებოდა.

როგორც ვხედავთ, არ არსებობს სათანადო საფუძველი იმისთვის, რომ იმხანად ათონზე ქართველ და რომაელ ბერთა მეგობრობა გავიაზროთ, როგორც ქართველთა რჯულშემწყნარებლობა კათოლიციზმისადმი.

გიორგი ათონელი თავის თხზულებაში საგანგებოდ აღნიშნავს კიდევ, რომ ათონელ ბენედიქტელთა სათნოებებს საბერძნეთის ეკლესია აღიარებდა³¹ (უმთავრესი და უპირველესი სათნოება ხომ ჭეშმარიტი სარწმუნოების აღმსარებლობაში გამოიხატება³²). მაშასადამე, საბერძნეთში მათ იცნობდნენ, როგორც ნამდვილ მართლმადიდებელ ქრისტიანებს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბერძნები მათაც ისევე გამოაძევებდნენ ათონის მთიდან, როგორც ელეონის მთიდან გამოდევნეს საბაწმიდელმა ბერებმა დასავლელი მომლოცველები. და საერთოდ, ქართველებს არ შეეძლოთ ათონის მთაზე ადგილობრივი ბერძნული იერარქიის დაუკითხავად და მათი ნებართვის გარეშე ვინმესთვის მონასტრის აშენება. ეს ნამდვილი კანონიკური ანომალია იქნებოდა. ამგვარად, ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ ლეონ დიდი ბერისა და მისი მოწაფეების რომაული წარმომავლობა არ უნდა გავიგოთ მათ სარწმუნოებრივ არამართლმადიდებლობად. შესაბამისად, გიორგი ათონელის კეთილგანწყობა მათ მიმართ, სულაც არ ნიშნავს სიმპათიებს ლათინი ბერებისა და კათოლიკური სარწმუნოებისადმი.

³¹ . გიორგი მთაწმიდელი, ცხორებაჲ..., გვ. 65.

³² . იოანე მოსხი, ლიმონარი, ი. აბულაძის გამოცემა, თბ., 1960 წ., გვ. 10, 51-52.

**II. გამოიჩინა თუ არა გიორგი ათონელმა
შემწყნარებლობა კათოლიციზმისადმი იმპერატორ
კონსტანტინე დუკას წინაშე წარდგომისას -**

რა თქმა უნდა არა.

ბიზანტიის იმპერატორისა და ღირსი მამის შეხვედრა და საუბარი გადმოცემულია მამა გიორგის ცხოვრების ოცდამეხუთე თავში. თავდაპირველად იმპერატორმა მას ჰკითხა „შჯულისათვის მართლმადიდებელთადას“ (ანუ ბერძენთა და ქართველთა ერთმორწმუნეობის შესახებ): „თუ არს რად განყოფილებაჲ სარწმუნოებისა თქუენისაჲ სრულსა მას და უცთომელსა სარწმუნოებასა ბერძენთასა თანა?“³³ პასუხად გიორგი ათონელმა „ღმრთივ-ბრწყინვალედ წარმოთქუა სარწმუნოებაჲ მართალი ჩუენ ქართველთა ნათესავისაჲ“ (რითაც დაამოწმა ქართველთა და ბერძენთა ერთმორწმუნეობა) და დასძინა: „ესე არს სარწმუნოებაჲ მართალი ნათესავისა ჩუენისაჲ. და რაჟამს ერთგზის გვცნობიეს, არღარა მიდრეკილ ვართ მარცხლ, გინა მარჯულ“³⁴.

პასუხით კმაყოფილმა იმპერატორმა ღმერთს მაღლი შესწირა და შემდეგ იმის განმარტება ითხოვა, თუ რატომ განსხვავდებოდა რომაელთა ევქარისტის პრაქტიკა საბერძნეთისა და საქართველოს ადგილობრივ ეკლესიებში არსებული წესისაგან: „მაუწყე, ვითარ არს ესე, რომელ ჩვენ და თქუენ მფუანითა ვწირავთ და ზედაშესა წყალსა ვურთავთ, ხოლო ჰრომნი ჳმეადითა და ურწყოდთა წირვენ“³⁵. გიორგი ათონელმა შემდეგი სიტყვებით დაასაბუთა მართლმადიდებელ აღმოსავლეთში არსებული საევქარისტო პრაქტიკის კანონიკურობა: „ვინაძთგან ბერძენთა შორის მრავალი

³³ . გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ..., გვ. 178.

³⁴ . იქვე.

³⁵ . იქვე, გვ. 178-179.

წვალეზაჲ შემოვიდა“, ამ ერესების წინააღმდეგ მოწვეულმა წმიდა საეკლესიო კრებებმა გამოწვლილვით გამოარკვეეს და განაწესეს ევქარისტის აღსრულება მფუჳანი მარილიანი პურიტ „წინააღდგომად წვალეზისა უმჯულოჲსა აპოლინარისსა“ და წყალდართული ღვინით „ვითარცა იტყჳს იოჳანე ოქროპირი“³⁶. შემდეგ კი განმარტა, თუ რა მოსაზრების გამო არ მისდეჳდნენ რომაელნი ამ პრაქტიკას: „ჰრომთა, ვინადთგან ერთგზის იცნეს ღმერთი, არღარა ოდეს მიდრეკილ არიან და არცა ოდეს წვალეზაჲ შემოსრულ არს მათ შორის. და ვითარცა-იგი მაშინ თავმან მოციქულთამან პეტრე შეწირა უსისხლოდ იგი მსხუერპლი და, უმეტესად-და, ვითარცა თვთ თავადმან უფალმან მისცა მოწაფეთა ღამესა მას სერობისასა, ეგრეთ აღასრულებენ იგინი და არარაჲ არს ამას შინა განყოფილებაჲ, ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“. ბოლოს, იმპერატორმა ქალკედონის წმიდა მსოფლიო კრების უარმყოფელი სომხების შესახებაც ჰკითხა („თუ აქუს რაჲ ნაწილი ქრისტეანეთა თანა?“). ხოლო გიორგი ათონელმა მიუგო: „ბროტსა სარწმუნოებასა სახელიცა ნუ ედებინ“³⁷.

გიორგი ათონელის ცხოვრების ამ მონაკვეთმა ძველთაგანვე მიიქცია განსაკუთრებული ყურადღება. ცნობილია, რომ ჯერ კიდევ XIII საუკუნეში ითარგმნა იგი ლათინურად³⁸. ამ პასაჟს იმთავითვე უკირკიტებდნენ მკვლევრები და სწორედ აქ ხედავდნენ კათოლიციზმისადმი ღირსი მამის შემწყნარებლურ დამოკიდებულებას, რასაც ჩვენ ვერ დავეთანხმებით.

³⁶ . გიორგი მთაწმიდელი, ცხოვრებაჲ..., გვ. 179. და ეს პრაქტიკა არის დაცული საქართველოს ეკლესიაში, რომელიც არასოდეს მიდრეკილა „მარცხლ, გინა მარჯულ“.

³⁷ . იქვე, გვ. 179-180.

³⁸ . ელგუჯა ხინთიბიძე, ქართველი წმინდა მამის აზრი..., გვ. 22-23; მისივე, ქართული აგიოგრაფიული ტექსტის..., გვ. 310-323.

უპირველეს ყოვლისა, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი გარემოება - მიუხედავად იმისა, რომ გიორგი ათონელის ცხოვრება მეტად სანდო საისტორიო წყაროს წარმოადგენს³⁹, იგი სრულყოფილად მაინც ვერ წარმოაჩენს გიორგი ათონელის დამოკიდებულებას კათოლიციზმისადმი. რომაულ პაპიზმთან დაკავშირებული საკამათო საკითხები ხომ იმდენად ღრმა განხილვას საჭიროებდა (და საჭიროებს), რომ ღირსი მამის ლაკონური პასუხები უბრალოდ ვერ გადმოსცემს მის პოზიციას მთელი სისავსით⁴⁰. სწორედ ამის გამო მოხდა, რომ მისი

³⁹ . ივანე ჯავახიშვილი, ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ეხლა, წიგნი I, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა (V-XVIII სს.), თბ., 1916 წ., გვ. 91; მარიამ ლორთქიფანიძე, „ცხოვრება იოვანესი და ეფთვიმესი“ გიორგი მთაწმიდელის და „ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა“ გიორგი მცირის, როგორც საისტორიო წყარო, თსუ შრომები, ტ. 246 (ისტორია, ხელოვნებათმცოდნეობა, ეთნოგრაფია), თბ., 1984 წ., გვ. 167-168.

⁴⁰ . ამ ლაკონური პასუხით გამოწვეული უკმარობის განცდის ერთგვარი ანაზთაურება შეიძლება მოვახდინოთ ანტიოქიელ პატრიარქებთან გიორგი ათონელის საუბრებით. როდესაც მათ „მრავალსახედ“ იმსჯელეს „სარწმუნოებისათვის მართლისა და კანონთათვის საეკლესიოთა“ (გიორგი მცირე, ცხოვრება..., გვ. 148) და როდესაც „ვითარცა მდინარე დაუწყვედელად ესრეთ დიოდეს სიტყვანი წმიდათა წერილთანი პირით მისით“ (იქვე, გვ. 154). დანამდვილებით ვიცით, რომ ეს საუბრები უწინარეს ყოვლისა მართალ სარწმუნოებასა და საეკლესიო კანონებს შეეხებოდა. რადგან ქართველებზე გადაკიდებული ბერძენი ბერების ერთ ნაწილს არაკანონიკურად მიაჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია და საერთოდაც ეჭვქვეშ აყენებდნენ ჩვენი წინაპრების მართლმადიდებლობას („არა უწყით, რა არს სარწმუნოება მათიო“). სწორედ წმიდა გიორგი ათონელს მიუძღვის დიდი წვლილი ამ ცილისწამების უკურღვევაში. და რანაირად შეძლებდა იგი ამას, თუკი თავად მოიკოჭლებდა მართლმადიდებლობაში და ლათინთაკენ იყო მიდრეკილი? წყაროდან ხომ ჩანს, რომ მის სარწმუნოებრივ შეხედულებებს კარგად იცნობდა ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე პეტრე პატარა და მის იურისდიქციაში მყოფ მიტროპოლიტებსა და ეპისკოპოსებთან ერთად აღიარებდა მის ჭეშმარიტ მართლმადიდებლობას.

სარწმუნოებრივი შეხედულებები მცდარად იქნა გაგებული ცალკეულ მეცნიერთა მიერ.

მართალია, კონსტანტინე დუკიწს ღირსი მამისთვის განხეთქილების დოგმატური მიზეზის შესახებ არ უკითხავს (მან მხოლოდ საკამათო ლიტურგიკული პრაქტიკის განმარტება ითხვა), მაგრამ გიორგი ათონელმა ფილიოკვეს თაობაზეც მიუგო. ეს შეუმჩნეველი დარჩათ პატივცემულ მკვლევრებს. მან ცალსახად აღნიშნა რომაელთა შორის გავრცელებული მრწამსისეული სიახლის უმართებულობის შესახებ. ეს ჩანს მისი სიტყვებიდან: „ოდენ სარწმუნოებად მართალი იყოს“⁴¹. რადგან სარწმუნოების სიმბოლოს გამომხატველი ყველაზე გავრცელებული თეოლოგიური ტერმინი იმ ეპოქის საქართველოში სწორედ „სარწმუნოებად“ იყო. მაგალითად, ასეთი შინაარსობრივი დატვირთვით ტერმინ „სარწმუნოებას“ ხმარობდა წმიდა ექვთიმე ათონელი⁴², თვითონ წმიდა გიორგი ათონელი⁴³, წმიდა არსენ იყალთოელი⁴⁴ და მათ კვალობაზე გიორგი მცირეც თავისი თხზულების შესაბამის ადგილას ტერმინ „სარწმუნოებას“ ხმარობს სარწმუნოების სიმბოლოს (ანუ მრწამსის) მნიშვნელობით⁴⁵.

⁴¹ . გიორგი მცირე, ცხორება..., გვ. 179-180.

⁴² . ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, ნაწილი I, კიმენი, I, კ. კვეკელიძის რედაქციით, ტფ., 1918 წ., გვ. XLII, 98; მცირე სჯულისკანონი, გვ. 18.

⁴³ . ნანა მრევლიშვილი, გრიგოლ ნოსელის „გრიგოლ საკვირველმოქმედის ცხოვრების“ ქართული რედაქციები, თბ., 2001 წ., გვ. 47.

⁴⁴ . დიდი სჯულისკანონი, ე. გაბიძაშვილის, ე. გიუნაშვილის, მ. დოლაქიძისა და გ. ნინუას გამოცემა, თბ., 1975 წ., გვ. 266, 359. აღსანიშნავია, რომ არსენ იყალთოელი მოცემულ ტერმინს იშვიათად გადმოსცემს განსხვავებული ფორმითაც - „მრწამსი სარწმუნოებისად“ (იქვე, გვ. 260).

⁴⁵ . მოცემულ საკითხთან დაკავშირებით კონსულტაციისთვის მივმართეთ პროფესორ ედიშერ ჭელიძეს და გავაცანით არსენ იყალთოელის რედაქციის სჯულისკანონზე ჩვენი დაკვირვების შედეგები (კერძოდ, თუ რა სახით გადმოიცემოდა ძველ ქართულში ტერმინი „სიმბოლო სარწმუნოებისა“). განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ ის დიდი

გიორგი ათონელის ცხოვრების ამგვარი წაკითხვით სავსებით ნათელი ხდება პოზიცია, რომელიც დაიკავა ღირსმა მამამ რომაელებთან მიმართებაში: ევქარისტის აღსრულებასთან დაკავშირებული საწესჩვეულებო განსხვავებები არ უნდა გააზრებულყო, როგორც სარწმუნოებრივი გაუცხოება ან ერესი, ოდენ სარწმუნოების სიმბოლო მართალი (ესე იგი ფილიოკვედაურთველი) ყოფილიყო.

აბა სხვა რა უნდა ედოს საფუძვლად მის სიტყვებს არამართალი სარწმუნოების (ანუ მრწამსის) შესახებ, როდესაც ეს სიტყვები წარმოთქმულია რომაელებთან მიმართებაში? სარწმუნოების არამართალ სიმბოლოში უსათუოდ იგულისხმება ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსში ლათინური ჩანართი - ფილიოკვე. რადგან მრწამსში ყოველგვარი ცვლილებებისა და დამატებების შეტანა მსოფლიო და ადგილობრივ წმიდა საეკლესიო კრებათა განწესებებით თავიდანვე იყო აკრძალული და განიხილებოდა, როგორც ერეტიკული განმახლებლობა, როგორც ერესის ტოლფასი საქციელი⁴⁶.

გულისხმიერება, რომელიც ბატონმა ედიშერმა გამოიჩინა. მან სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა და დაგვეხმარა კიდევ, რათა საჭირო მასალა სხვა ძეგლებშიც დაგვეძებნა.

⁴⁶ . იხ. კონსტანტინეპოლის II მსოფლიო კრების I განწესება (დიდი სჯულისკანონი, გვ. 261) და მისი განმარტება (Правила Православной Церкви с толкованиями Никодима епископа Далматинско-Истрийского, изд. Свято-Троицкой Сергиевой Лавры, т. 1, 1996 г., стр. 237-247); ევესოს III მსოფლიო კრების VII განწესება (დიდი სჯულისკანონი, გვ. 266) და მისი განმარტება (Правила Православной Церкви с толкованиями..., т. 1, стр. 303-305); ტრულის კრების I განწესება (დიდი სჯულისკანონი, გვ. 369-371) და მისი განმარტება (Правила Святых Вселенских Соборов с толкованиями, М., 1877 г., стр. 270-281); კართაგენის საეკლესიო კრების I და II განწესებები (დიდი სჯულისკანონი, გვ. 292-293) და მათი განმარტება (Правила Святых Поместных Соборов с толкованиями, М., 1880 г., стр. 370-371).

რაკი იმპერატორმა დაინახა, რომ გიორგი ათონელი სარწმუნოებრივი ერთობის დარღვევის რეალურ საფრთხეს მრწამსში შეტანილ ცვლილებაში ხედავდა და არა საწესჩვეულებო განსხვავებებში, ამიტომაც ჰკითხა შემდეგ სომხების შესახებ (რომელთაც მრწამსში ცვლილება არ შეუტანიათ, მაგრამ ევქარისტიას ისინიც წყალდაურთავი ღვინით აღასრულებენ): „თუ აქუს რაჲ ნაწილი ქრისტეანეთა თანა?“ ხოლო ღირსმა მამამ მიუგო, რომ მათ „ბოროტსა სარწმუნოებასა სახელიცა ნუ დებინ“⁴⁷. ამგვარად, მისი პასუხიდან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ რომაელებთან მიმართებაში მიიჩნევდა იგი უცვალეებელ მრწამსს ეკლესიური ერთობის საფუძვლად, ხოლო სომხების შემთხვევაში - არა, რადგან ისინი ეკლესიიდან მრწამსის ხელყოფის გამო კი არ განვარდნენ, არამედ სულ სხვა მიზეზთა გამო.

ასეთია წმიდა გიორგი ათონელის დამოკიდებულება განხეთქილების დოგმატური მხარისადმი, რაც, სამწუხაროდ, პატივცემულმა მკვლევრებმა ვერ დაინახეს, რადგან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მათ მხედველობიდან გამორჩათ თეოლოგიური ტერმინი „სარწმუნოებაჲ და მისი ზუსტი სინონიმური მნიშვნელობა - „სიმბოლო სარწმუნოებისა“, ანუ „მრწამსი“.

სამაგიეროდ, მათ მხედველობიდან არ გამოპარვიათ ის ფაქტი, რომ ევქარისტის პრაქტიკის შესახებ ლათინთა მოსაზრებები ღირსმა მამამ ისე გადმოსცა, არ შესდგომია მათი მართებულობისა თუ სიმცდარის განხილვას. ეს კი ისე აღიქვეს, თითქოს გიორგი ათონელმა ამით ერთგვარი მხარდაჭერა გამოხატა კათოლიციზმისადმი. რატომღაც პატივცემულმა

⁴⁷ . როგორც ჩანს, აქ ნერსეს კათალიკოსის მიერ შედგენილი „სომხური ეკლესიის სარწმუნოების გარდამოცემის“ მსგავსი დოგმატური თხზულება იგულისხმება. იხ. И. Троицкий, Изложение веры Церкви Армянския начертанное Нерсесом, Католикосом Армянским, по требованию Боголюбивого государя греков Мануила, С-Пб., 1875.

მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს, რომ მსგავს პოზიციას თვით ბერძენი ანტილათინი საეკლესიო მოღვაწეებიც იკავებდნენ. რის გამოც, განცხადება იმის თაობაზე, თითქოს წმიდა გიორგი ათონელი საბერძნეთის ეკლესიას არ ეთანხმებოდა, უბრალოდ არასწორია.

გიორგი ათონელის მიერ გამოთქმული აზრი („ოდენ სარწმუნოებად მართალი იყოს“ და ევქარისტის პრაქტიკაში, ანუ საწესჩვეულებო საკითხებში, არსებულ განსხვავებებში „არარაჲ არს... განყოფილებად“) იმხანად სულაც არ იყო უცხო საბერძნეთის ეკლესიისთვის. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიხმოთ გიორგი ათონელის ახლო მეგობრის პეტრე III ანტიოქიელი პატრიარქის სიტყვები: „თუკი ლათინები ამოიღებენ მრწამსიდან დამატებას, მე აღარ მოვთხოვდი მათ არაფერს, მივიჩნევდი რა უმნიშვნელოდ ყოველივე დანარჩენს“⁴⁸. ეს სიტყვები იმდენად ახლოს დგას ღირსი მამის მიერ ბიზანტიის იმპერატორისთვის გაცემულ პასუხთან, რომ ერთი პიროვნების მიერ წარმოთქმულად შეიძლებოდა მიეჩნია კაცს, დანამდვილებით რომ არ იყოს ცნობილი მათი ავტორების ვინაობა. ამგვარად, შეუძლებელია, არ დავინახოთ გიორგი ათონელისა და პეტრე პატრიარქის თანამოაზრეობა, რომელიც ცნობილი ანტილათინი საეკლესიო მოღვაწე გახლდათ და დიპტიქშიც არ იხსენიებდა რომის პაპს, ანუ ევქარისტული და ლოცვითი კავშირი არ ჰქონდა ლათინებთან⁴⁹. ხოლო გიორგი

⁴⁸ . ალ. ალექსიძე, ქართულ ენაზე მოღწეული ანტილათინური პოლემიკური თხზულება (ევსტრატე ნიკიელის ტრაქტატი), თსუ შრომები, 162, თბ., 1975 წ., გვ. 117; ეკლესიათა განყოფის საბოლოო აქტი, გაზ. „მადლი“, 18 სექტემბერი, 1997 წ., #8-9(123-124), გვ. 8.

⁴⁹ . ეკლესიათა განყოფის საბოლოო აქტი, გვ. 8; Воейков Н.Н., Церковь, Русь и Рим, гл. III: Разрыв Рима с Православием. ელ. ვერსია: http://anti-papism.narod.ru/CRR/CRR_13.htm ; Лебедев А. П., Смуты в византийской иерархии и общее ее состояние в IX, X и XI вв. ელ. ვერსია: <http://www.portal-credo.ru/site/?act=lib&id=366>

ათონელსა და პეტრე პატრიარქს ერთმანეთთან ახლო მეგობრობა აკავშირებდათ⁵⁰. უეჭველია, ამ მეგობრობის საფუძველი მათი სარწმუნოებრივი თანამოაზრობა იყო.

ჩვენი ვარაუდით, ღირსი გიორგი ათონელისა და პეტრე პატრიარქის ზემოხსენებული მოსაზრება უნდა ემყარებოდეს ბასილი დიდის 109(113)-ე ეპისტოლეს. აღნიშნულ წერილში წმიდა ბასილი დიდი ურჩევს ტარსელ სამღვდელოებას, იმ შემთხვევაში, თუკი ქრისტიანები, რომლებსაც სულიწმიდის შესახებ შეცდომილი სწავლება ეპყრათ, აღიარებდნენ ნიკეის სარწმუნოებას (ანუ მრწამსს), შეეწყნარებინათ ისინი ეკლესიურ ერთობაში იმ იმედით, რომ ეკლესიის წიაღში მყოფნი დროთა განმავლობაში უკეთ შეიმეცნებდნენ ჭეშმარიტებას და გამოსწორდებოდნენ.

გიორგი ათონელის მსგავსი პოზიცია ჰქონდა მქელ პსელოსსაც⁵¹ და თვით ერთ-ერთ ყველაზე თვალსაჩინო ანტილათინ საეკლესიო მოღვაწეს წმიდა ფოტი პატრიარქსაც კი. მაგალითად, ცნობილია, რომ მან რომთან ეკლესიური ერთობა აღადგინა, როცა უმთავრესში, - ფილიოკვესთან დაკავშირებით, - მიაღწია მათგან დათმობას, ხოლო

⁵⁰ . პეტრე პატრიარქმა „ყოველი ცხოვრებად თვისი მას (გიორგი ათონელს - გ.მ.) შეჰვედრა. და მას ჰკითხავნ გულის-სიტყუათა თვისთა და ყოველთავე საეკლესიოთა საქმეთა. და რაჟამს-იგი პატრიაქი მრავალთა მწუხარებათა და ურვათაგან შეპყრობილ იყო,... (გიორგი ათონელმა - გ.მ.) სიტყუთა ნუგეშინის-ცემისადათა და სწავლითა სულიერითა ყოველი მწუხარებად და გლოვად მისი განაქარვა“. თავის მხრივ პეტრე პატრიარქიც „სიყუარულითა და სარწმუნოებითა აღსავსე“ იყო გიორგი ათონელის მიმართ (გიორგი მცირე, ცხოვრებად..., გვ. 148-149). მართალია პეტრე პატრიარქის მაგივრად გიორგი ათონელის ცხოვრების ამ ადგილას მოიხსენიება პატრიარქი იოანე, მაგრამ ეს ხელნაწერში არსებული უბრალო გრაფიკული შეცდომის ბრალია (კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, I, თბ., 1951 წ., გვ. 193).

⁵¹ . ალ. ალექსიძე, ხს. შრომა, გვ. 115.

საწესჩვეულებო საკითხებზე შეთანხმების მიღწევა სამომავლო საქმედ გადადო⁵².

ამგვარად, ვფიქრობთ, დღესავით ნათელია, რომ აზრი, რომელიც გამოსთქვა გიორგი ათონელმა კონსტანტინე დუკას წინაშე წარდგომისას, სრულად შეესაბამება ზემოხსენებული ცნობილი ბერძენი ანტილათინი საეკლესიო მოღვაწეების შეხედულებებს. ისინი იმედოვნებდნენ, რომ საწესჩვეულებო სადავო საკითხების მოგვარებას ეკლესია დროთა განმავლობაში მიაღწევდა, თუკი მრწამსის ხელყოფა არ მოხდებოდა და სარწმუნოებრივი ერთობა არ დაირღვეოდა⁵³. ამიტომ იყენებდნენ ისინი ერთგვარი დათმობის ტაქტიკას და საწესჩვეულებო საკითხებზე აღარ ედავებოდნენ ხოლმე პაპისტებს.

ამგვარად, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის გამოცხადება კათოლიციზმის მხარდამჭერად იმის გამო, რომ წმიდა გიორგი ათონელმა ერთგვარი იკონომიური გამონათქვამი იხმარა რომის ოფიციალური ეკლესიის მიმართ და თავი შეიკავა ექვარისტის პრაქტიკასთან დაკავშირებით

⁵² . Огицкий Д., Козлов М., Православие и Западное Христианство, М., 1999 г., стр. 38-39. ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს წმიდა ფოტი დიდი, ან სხვა მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწენი, სათანადო მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ სადავო საწესჩვეულებო საკითხებს. მაგალითად გამოდგება იგივე ფოტი პატრიარქის ცნობილი „მრგულივმოსავლელი ეპისტოლე“, რომელშიც იგი განსაკუთრებულ შეუწყნარებლობას იჩენს დასავლური საწესჩვეულებო პრაქტიკისადმი (იხ. Окружное послание Фотия, Патриарха Константинопольского, к Восточным Архиерейским Престолам. ელ. ვერსია: <http://www.krotov.org/acts/09/fotiy2.html> ; მ. პაპაშვილი, ხს. წიგნი, გვ. 44).

⁵³ . წმიდა ბასილი დიდის I განწესების მიხედვით, ეკლესიასთან დოგმატური უთანხმოება (ლათინების შემთხვევაში ფილიოკვე) რის ერესი, ხოლო კანონიკური საწესჩვეულებო დარღვევები - სქიზმა (იხ. დიდი სჯულისკანონი, გვ. 472-475).

დასავლეთში გავრცელებული შეხედულებების დაგმობისაგან, უბრალო გაუგებრობის შედეგია და მეტი არაფერი⁵⁴

რამდენიმე წლის წინ სავსებით სამართლიანად დაისვა საკითხი, დაძებნილიყო წყაროები, რომელთა მიხედვითაც გიორგი ათონელმა გადმოსცა სწავლება რომაელთა ევქარისტის პრაქტიკის შესახებ⁵⁵. ვფიქრობთ, წამოჭრილ საკითხზე გარკვეულწილად მაინც ვპოვებთ პასუხს ანტილათინურ პოლემიკურ თხზულებაში „თუ ოდეს ჰომნი და ეკლესია მათი [და] რადსათვის საღმრთოთა აღმოსავალისა ეკლესიათაგან განიჭრნენ“. აღნიშნული ძეგლი ცნობილია ევსტრატი ნიკიელი მიტროპოლიტის ტრაქტატის სახელით, მაგრამ სინამდვილეში იგი სხვადასხვა ავტორების თხზულებათა კომპილაციას წარმოადგენს. კერძოდ, მასში თავმოყრილია ფოტი დიდის, ზემოხსენებული პეტრე პატრიარქისა და თეოფილაქტე ბულგარელის თხზულებებიდან გამოკრებილი ადგილები⁵⁶. ხსენებულ ტრაქტატში უცომოთა შესახებაც არის საუბარი⁵⁷.

კერძოდ, მასში დაშვებულია, რომ ახლადგაქრისტიანე-ბულ რომაელებს, შესაძლოა, მართლაც მოციქულთაგან მიეღოთ ევქარისტის ხმადით აღსრულების მაგალითი, „ვინაითგან დიდი იყო მაშინ ჰრომს შესაკრებელი და სიმრავლე ებრაელთა“. ამიტომ, მათი მოქცევის გაადვილების მიზნით

⁵⁴ . „საქართველო X-XI საუკუნეებში არ იზიარებდა საბერძნეთის რიგორისტულ და კონსერვატიულ-რიტუალურ შეხედულებებს რომაელთა ეკლესიის შესახებ“ - აღნიშნა კორნელი კეკელიძემ გიორგი ათონელის ცხოვრების მოცემულ მონაკვეთზე დაყრდნობით (იხ. კ. კეკელიძე, ნაწყვეტი ქართული აგიოგრაფიის ისტორიიდან, ეტიუდები, 5, თბ., 1967 წ., გვ. 139).

⁵⁵ . ე. ხინთიბიძე, ქართ. აგიოგრ. ტექსტის... თარგმანი, გვ. 314.

⁵⁶ . ალ. ალექსიძე, ხს. შრომა, გვ. 116, 118-119.

⁵⁷ . სამწუხაროდ, უცნობია, თუ კერძოდ რომელ ანტილათინ მოღვაწეს ეკუთვნის იგი. ტექსტის შესწავლამ გამოაჩინა მხოლოდ ის, რომ ტრაქტატის მოცემული მონაკვეთი ევსტრატი ნიკიელის თხზულებათაგან ნამდვილად არ მომდინარეობს (იქვე, გვ. 118).

(„უძლურებისა მათისა თანა შთამოსვლისათჳს“), რომც დაეშვათ მოციქულებს ექვარისტიის აღსრულება ებრაული პასექის მსგავსი უფუარი ხმიადით, „არადვე საკვრველ არს“-ო.

და იქვე აღნიშნულია, რომ მიუხედავად ამისა, მაინც უმართებულოა პაპისტური ექვარისტიის პრაქტიკა. „ვითარმედ მრავალი მოციქულთა მიერ შემოდებული შეიცვალა მათ მიერვე განძლიერებასა შინა სარწმუნოებისასა და რამეთუ პეტრე წარმართთაგან მოქცეულთა მორწმუნეთა წინადასცუეთდა და ეგრეთ ნათელსცემდა და პავლე ტიმოთეს წინადასცვითა და კათაკუმეველნი ოცდა ათი წლიდანი ნათელს იღებდეს და შაბათი იცევიბოდა და მღუდელთმთავარნი ცოლთა ისხმიდეს და შჯულიერთა⁵⁸ რათმე წესთა პატივსცემდეს მაშინდელნი მორწმუნენი. გარნა არღა რად ესევეთარი მოქალაქობს აწ წმიდასა ეკლესიასა, უსრულესისა მიმართ წარმატებითა“⁵⁹.

აქ ციტირებული უცნობი ავტორისაგან განსხვავებით, გიორგი ათონელი ისე გადმოსცემს უცომოთა შესახებ რომაელთა სწავლებას, არ იწყებს მისი კანონიკურობის განხილვას. ხოლო მისი პასუხის ლაკონურობამ ცალკეულ მკვლევრებზე ისეთი შთაბეჭდილება დატოვა, თითქოს იგი მხარს უჭერს ხმიადის გამოყენების პრაქტიკას. სინამდვილეში კი, როგორც ციტირებული ანტილათინური ტრაქტატიდან გამომჩნდა, იმის დაშვებით, რომ ამგვარ პრაქტიკას სამოციქულო წარმომავლობა შეიძლება გააჩნდეს⁶⁰, თავისთავად სულაც არ ხდება მისი შეწყნარება.

⁵⁸ . აქ იგულისხმება ძველი აღთქმის რჯული.

⁵⁹ . ირაკლი დუმბაძე, გიორგი მთაწმიდელის ცხოვრების ერთი ეპიზოდის განმარტებისათვის, ჟურ. „ბურჯი ეროვნებისა“, 2000 წ., #8-9, გვ. 16-17.

⁶⁰ . რაც უბრალოდ „არა სარწმუნო არს“, აღნიშნულია იმავე პოლემიკურ ტრაქტატში (ი. დუმბაძე, ხს. სტატია, გვ. 17). და საერთოდ, IX საუკუნემდე დასავლეთის ეკლესიისთვის უბრალოდ უცხო იყო ხმიადების გამოყენების წესი (გვანცა კოპლატაძე, გრიგოლ რუხაძე, ლათინთა საკითხი გიორგი

ამ მხრივაც საინტერესოა პეტრე პატრიარქის პოზიცია. იგი პაპისტების ექვარისტის პრაქტიკას, მართალია, წმიდა საეკლესიო გარდამოცემასთან შეუსაბამო, მაგრამ მოსათმენ ცდომილებად მიიჩნევდა⁶¹.

როგორც ვხედავთ, ამჯერადაც (ხმიადების საკითხშიც) დადასტურდა გიორგი ათონელის თანამოაზრობა ანტილათინ საეკლესიო მოღვაწე პეტრე ანტიოქიელთან. და მთელი დამაჯერებლობით წარმოჩინდა, რომ მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანდა, თითქოს ამ საკითხში იგი რომაელი პაპისტების მომხრე იყო.

სინამდვილეში კი არათუ გიორგი ათონელისა და ბერძენი მამების, არამედ მისი და რომაელი პაპისტების პოზიცია განსხვავდება ერთმანეთისგან, როგორც ცა და დედამიწა. საქმე ის არის, რომ პაპისტური სწავლება ექვარისტის შესახებ მხოლოდ იმით არ ამოიწურება, რომ ხმიადები მოციქულთაგან მომდინარეობს. ცალკე საკითხია, თუ როგორ აფასებდნენ ისინი საფუფრიანი ჰურის გამოყენებას. მაგალითად, მართლმადიდებელი აღმოსავლეთის ექვარისტის პრაქტიკას ლათინები უკიდურესად უარყოფითად აფასებდნენ. საილუსტრაციოდ დავიმოწმოთ სიტყვები იმ წერილიდან, რომელიც კარდინალმა ჰუმბერტმა ჩამოიტანა კონსტანტინეპოლში 1054 წელს. მაშინ, როცა წმიდა გიორგი ათონელი ასაბუთებს და იცავს ამ პრაქტიკის კანონიკურობას⁶², პაპისტები გადაჭრით ეწინააღმდეგებიან და შეურაცხყოფენ

მთაწმიდელის „ცხოვრებაში“, ჰაგიოგრაფიის ღვთისმეტყველება, გაზეთი „მადლი“, 1 ივლისი, 1997 წ., #6-7(121-122), გვ. 15).

⁶¹ . „опресноки же считал (в его письме к Доминику Граденскому) делом терпимым, хотя и несогласным с преданием“ (Воейков Н.Н., Церковь, Русь и Рим, тл. III, ელ. ვერსია: http://anti-papism.narod.ru/CRR/CRR_13.htm).

⁶² . ბრძანებს, რომ იგი წმიდა საეკლესიო კრებებმა განაწესეს... (გიორგი მცირე, ცხოვრება..., გვ. 179).

კიდევ მას, როგორც „ხრწნადის“, „შერყვნილი ბუნებისა“ და „წახდენის“ შემცველს⁶³.

თუკი იმასაც გავითვალისწინებთ, რომ საბერძნეთისა და საქართველოს ადგილობრივ ეკლესიებს ნამდვილად საერთო ჰქონდათ ევქარისტის აღსრულების პრაქტიკა⁶⁴, მაშინ ცხადი გახდება, რომ ლათინი პაპისტების ამგვარი შეურაცხმყოფელი კრიტიკა საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგაც არის მიმართული. ამას კი გულგრილად ნამდვილად ვერ შეხვდებოდა გიორგი ათონელი, რომელიც ყველგან თავგამოდებით იცავდა საქართველოს ეკლესიის ავტორიტეტს. ვფიქრობთ, ოპონენტები დაგვეთანხმებიან, რომ იგი ნამდვილად არ მიიჩნევდა „შერყვნილი ბუნებისა“ და „წახდენის“ შემცველად არც საბერძნეთის და არც საქართველოს ეკლესიის ბარძიმს, რომლითაც თითონაც აღასრულებდა ევქარისტის საიდუმლოს და თითონვე იღებდა ზიარებას.

პაპისტების პოზიციითვე, „თუკი დედამიწის ზურგზე რომელიმე ხალხი სიამაყის გამო არ ეთანხმება მას (რომის პაპს - გ.მ.), მაშინ ეს ხალხი ეკლესიად არც უნდა იწოდებოდეს, იგი სრული არარაობაა, ან უკეთ რომ ვთქვათ, ერეტიკოსთა საკრებულო, სქიზმატიკოსთა ბრბო, სატანების სინაგოგა“⁶⁵... მაშასადამე, პაპისტების თქმით, რაკი მართლმადიდებელი ქრისტიანები არ ეთანხმებოდნენ რომის პაპს ევქარისტის აღსრულების პრაქტიკაში (დანარჩენ საკითხებზე რომ აღარაფერი ვთქვათ), ამის გამო, მართლმადიდებელი ეკლესია, რომლის განუყოფელ ნაწილსაც საქართველო წარმოადგენს, ყოფილა „ერეტიკოსთა საკრებულო, სქიზმატიკოსთა ბრბო და სატანების სინაგოგა“.

⁶³ . ეკლესიათა განყოფის საბოლოო აქტი, გვ. 8.

⁶⁴ . „ჩვენ და თქვენ მფუფანითა პურითა ვწირავთ“... (გიორგი მცირე, ცხორებად..., გვ. 179).

⁶⁵ . ეკლესიათა განყოფის საბოლოო აქტი, გვ. 8. პაპისტების ანალოგიური შეხედულებების შესახებ იხ. Огицкий Д., Козлов М., ხს. წიგნი, გვ. 50-52.

ასეთი იყო კათოლიციზმის დამოკიდებულება მართლმადიდებელი აღმოსავლეთისადმი დიდი სქიზმის ეპოქაში. აქედან გამომდინარე, განა შეიძლება იმის თქმა, რომ წმიდა გიორგი ათონელი ემიჯნებოდა საბერძნეთის ეკლესიას და კათოლიციზმის მხარეს იდგა? ნუთუ იგი საბერძნეთისა და მისი მშობლიური საქართველოს ეკლესიას „სატანების სინაგოგად“ მიიჩნევდა? მაშ რა რჯიდა მას, რომ ამ „ერეტიკოსთა საკრებულოს“ სამსახურში მდგარიყო, თანაც ისე ერთგულად, რომ „სრული ბერძენის“ სახელიც კი დაიმკვიდრა⁶⁶. ან მისი გარდაცვალებიდან მოკლე დროში⁶⁷ როგორღა ჩაიწერებოდა პეტრიწონის ტიპიკონში, რომ ქართველები „ნებითა ღმრთისაჲთა, ჭემმარიტისა მართლმადიდებლობისა მათისა (ბერძენთა - გ.მ.) მიმდგომნი ვართ და აღმსარებელნი და მოწაფენი მათნი“⁶⁸, თუკი საქართველოს ეკლესიის მნათობი წმიდა გიორგი ათონელი

⁶⁶ . „სრული ბერძენი ხარ“ - მიუგო მას პეტრე პატრიარქმა (გიორგი მცირე, ცხორებაჲ..., გვ. 151). „აქ სიტყვა <<ბერძენის>> ქვეშ იგულისხმება არა ეთნიკური ბერძენი, არამედ სარწმუნოებით ბერძენი, ე.ი. სრული მართლმადიდებელი, მართლმადიდებლური ორიენტაციის აღმსარებელი და დამცველი“ (მეუფე ანანია ჯაფარიძე, საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის დასაცავად, გაგრძელება წერილისა „პასუხი კათოლიკური პოზიციის უნებლიე ქონაგებს“, გაზეთი „მადლი“, სექტემბერი, 1998 წ., #12-13(138-139), გვ. 12.

⁶⁷ . კერძოდ 1084 წელს.

⁶⁸ . აკაკი შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი (ტიპიკონის ქართული რედაქცია), თბ., 1971 წ., გვ. 109. დიდი სქიზმის ეპოქაში შედგენილ ამ მნიშვნელოვან ძეგლში კიდევ არის სხვა პირდაპირი ცნობა ქართველთა და ბერძენთა ერთმორწმუნეობის შესახებ: „ჭემმარიტსა და მართლმადიდებელსა ქრისტეანეთა სარწმუნოებასა ქართველთასა, რომელი-იგი სწორად აქუს და განუყოფელად მტკიცესა თანა სარწმუნოებასა და აღსარებასა ჭემმარიტთა ბერძენთა ნათესავისასა“ (იქვე, გვ. 68; ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოცემა, 3, თბ., 1970 წ., გვ. 42, 85-86).

(მთელი ქართველი ერი მისი სულიერი შვილი რომ იყო⁶⁹) საბერძნეთის ეკლესიას ემიჯნებოდა და კათოლიციზმს უჭერდა მხარს? მაშინ ქართველებზე კი არ იტყოდნენ, რომ ბერძნების მართალი სარწმუნოების მოწაფენი არიანო, არამედ ჩვენს წინაპრებს დაუმკვიდრდებოდათ სახელი რომის პაპის მოწაფეებისა და მიმდევრებისა.

სიმაართლე ის არის, რომ ქართველები ნამდვილად იყვნენ ბერძენთა მართალი სარწმუნოების სრული თანაზიარნი. და ისიც ფაქტია, რომ ამ სულიერ თანაზიარებას უფრო მეტი სიმტკიცე და უფრო მეტი სისრულე შესძინა სწორედ წმიდა გიორგი ათონელმა, თავად „სრულმა ბერძენმა“ სარწმუნოებით. ამას ცხადყოფს მთელი მისი ცხოვრება და შემოქმედება. აქედან გამომდინარე, ცხადია, იგი სწორედ კათოლიციზმს ემიჯნებოდა. ამასთან ერთად არ უარყოფდა იმას, რომ ისტორიულ წარსულში საბერძნეთში არაერთხელ ჰქონდა ადგილი ერესების მოძალეზას, მაგრამ, პაპისტებისაგან განსხვავებით, აწმყოში ნამდვილად არ მიიჩნევდა საბერძნეთის ეკლესიას „ერეტიკოსთა საკრებულოდ“ და „სქიზმატიკოსთა ბრბოდ“.

დაბოლოს, გიორგი მცირის თხზულების მოცემულ მონაკვეთზე მსჯელობა გვსურს დავასრულოთ პასუხით კითხვაზე - რით შეიძლება აიხსნას ის ფაქტი, 1054 წლის ცნობილი მოვლენების შემდეგაც გიორგი ათონელი აღიარებს რომის ოფიციალური ეკლესიის მადლმოსილებას და არ მოიხსენიებს მას ერეტიკულ საკრებულოდ?⁷⁰

⁶⁹ . „კნინ-და და უმრავლესნი მოწაფენი იყვნეს მისნი“ (გიორგი მცირე, ცხოვრებად..., გვ. 176).

⁷⁰ . სხვათა შორის, მათი ცდომილებების მიუხედავად, პეტრე პატრიარქიც ძმებად მიიჩნევს რომაელებს: „эти латиняне, в конце концов, являются нашими братьями, несмотря на всю их грубость, невежество и пристрастие к собственному мнению, что иногда сводит их с прямой дороги“ (Воейков Н.Н.,

ვფიქრობთ, ამ ყველაფერს ძალზედ მარტივი ახსნა აქვს. საქმე იმაშია, რომ მხოლოდ XVI საუკუნიდან მიიჩნევა 1054 წელი ეკლესიათა განყოფის თარიღად⁷¹. მანამდე კი (და თვით გიორგი ათონელის მოღვაწეობის დროსაც) კარდინალ ჰუმბერტისა და მისი თანმხლები ლეგატების საქციელი მართლმადიდებელ აღმოსავლეთში განიხილებოდა, როგორც თვითმარქვია ელჩების ავანტიურა და მეტი არაფერი⁷². რაც შეეხება რომის ეკლესიის ცნობიერების გამომხატველ ლეგიტიმურ საკრებო განჩინებას, რითაც მოხდა მართლმადიდებელთა შეზღუდვა ფილიოკვეს უარყოფის გამო, ამას გიორგი ათონელის გარდაცვალებიდან გარკვეული დროის შემდეგ ჰქონდა ადგილი. მხედველობაში გვაქვს ქ. ბარში 1098 წელს შემდგარი კრება⁷³. და საერთოდ, მართლმადიდებელთა აზრით, რომის საბოლოო განვარდნა ერთი წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესიის საზღვრებიდან ჯვაროსნული ლაშქრობების დროს მოხდა. ხოლო 1054 წლის ანათემები შეუქცევადი განყოფის მხოლოდ ფორმალური მიზეზი იყო⁷⁴.

Церковь, Русь и Рим, гл. III, ელ. ვერსია: http://anti-papism.narod.ru/CRR/CRR_13.htm

⁷¹ . XVI საუკუნეში აღმოაჩინა ვატიკანის ბიბლიოთეკარმა ბარონიუსმა მიხეილ კერუსარიოსის წერილი და კარდინალ ჰუმბერტის მიერ აღწერილი ისტორია (გ. კოპლატაძე, გრ. რუხაძე, ხს. წერილი, გვ. 15).

⁷² . საილუსტრაციოდ შეიძლება მოვიხმოთ თვით პატრიარქ მიხეილ კერულარიოსის მიერ მოწვეული საეკლესიო კრების დეკრეტი, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ კარდინალი ჰუმბერტი და მისი თანმხლები პირები თვითმარქვია ელჩები იყვნენ და პაპის სახელით მოტანილი ნაყალბევი წერილები მათ მიერვე იყო შეთხზული (იქვე).

⁷³ . იქვე.

⁷⁴ . Православная Энциклопедия, т. 2, М., 2001 г., стр. 276; Огицкий Д., Козлов М., ხს. წიგნი, გვ. 79; ი. დუმბაძე, ხს. წერილი, გვ. 19.

არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ იმ ეპოქაში ჩვეულებრივი მოვლენა იყო მისწრაფება შეთანხმებისაკენ⁷⁵. გიორგი ათონელმაც ამიტომ გამოავლინა დამთმობი დამოკიდებულება რომაელების მიმართ, რომ მაშინ „ჟამიცა მარჯუე იყო და დაწყნარებული“⁷⁶. ესე იგი ჩანდა საშუალება იმისა, რომ უმთავრესი სადავო საითხები მოგვარდებოდა და მშვიდობა აღდგებოდა ეკლესიაში. იყო იმედი იმისა, რომ როგორც უწინ მოხერხდა ფოტი პატრიარქის დროს წარმოქმნილი დაპირისპირების დაძლევა და როგორც საბერძნეთში ხდებოდა ხოლმე მოძალებული ერესებისგან გათავისუფლება, ასევე მოახერხებდა რომიც პაპისმიზგან თავის დაღწევას.

სწორედ ამ მიზნით, გიორგი ათონელი წმიდა ფოტი დიდის მიზაძვით, მისი პირადი მეგობრის პეტრე პატრიარქის მსგავსად, ირჩევს ტაქტიკური დათმობის პოზიციას. ეს გამოიხატება შემდეგში: 1) თავს იკავებს რომაელთა საწესჩვეულებო საკითხების განხილვისაგან; 2) განადიდებს რომის ეკლესიის ღირსეულ წარსულს, რითაც მოუწოდებს დასავლელ ქრისტიანებს უერთგულონ ეკლესიური ერთობის იმ საფუძველს, რომელიც თავიდან არსებობდა, უარი თქვან განმაახლებლობაზე და 3) დასკვნის სახით - „ოდენ სარწმუნოებაჲ მართალი იყოს“, ანუ შეუვალობას იჩენს სარწმუნოების დოგმატურ საკითხებში. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სულაც არ ნიშნავს კათოლიციზმის შეწყნარებას.

⁷⁵ . შეთანხმების მცდელობებს ადგილი ჰქონდა 1062, 1072, 1113, 1170 წლებში (ალ. ალექსიძე, ხს. შრომა, გვ. 115).

⁷⁶ . გიორგი მცირე, ცხოვრება..., გვ. 178.

III. გამოიჩინა თუ არა გიორგი ათონელმა ფილიოკვესადმი შემწყნარებლობა წმიდა ათანასე დიდის სიმბოლოს თარგმნისას -

რა თქმა უნდა, არა.

წმიდა ათანასე ალექსანდრიელის აღსარების XX მუხლი გიორგი ათონელისეულ თარგმანში ასე იკითხება: „სულიწმიდაა - მამისაგან და ძისა; არა შექმნით, არცა დაბადებით, არცა შობით, არამედ გამოსლვით“⁷⁷. ხოლო თხზულებაზე დართულ ანდერთად იგი ბრძანებს: „ესე მართლისა სარწმუნოებისა აღსარებაა ჰრომთა წიგნისაგან გადმოვწერე. ვინ აღმოიკითხო, ლოცვა ყავთ გლახაკისა გიორგისათვის, რომელმან ესე ვთარგმნე“⁷⁸.

წმიდა ათანასეს თხზულებაში არსებული ამ ფრაზისა და მასზე დართული ღირსი მამის ანდერძის გამო, რამდენიმე წლის წინ ჩვენს სამეცნიერო საზოგადოებაში გაკეთდა ძალზედ თამამი და ნაჩქარევი განცხადებები იმის თაობაზე, რომ ფილიოკვეს გამო ატეხილი კამათი წმიდა გიორგი ათონელს „უსაფუძვლოდ მიაჩნდა“⁷⁹, რომ „საბუთი, რომელიც მოწმობს გიორგი მთაწმიდელის შემწყნარებლობას რომის ეკლესიის აღმსარებლობის მიმართ, - ესაა ათანასე ალექსანდრიელის სიმბოლო (მასში დაცული დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულით)“⁸⁰; რომ გიორგი ათონელი საერთოდ არ მიიჩნევდა ფილიოკვეს დოგმატურ ცდომილებად⁸¹. და, პირდაპირ გამოაცხადეს იგი კათოლიკედ⁸² (ალარ დასჯერდენ

⁷⁷ . ე. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე, ხს. შრომა, გვ. 155.

⁷⁸ . იქვე.

⁷⁹ . იქვე, გვ. 161.

⁸⁰ . იქვე.

⁸¹ . ნ. პაპუაშვილი, ხს. წერილი, გვ. 5.

⁸² . მანანა ანდრიაძე, ქართველი კათოლიკეები - ჭეშმარიტად ქართული ბუნების მატარებელნი და მაღალი ეროვნული ტრადიციების მიმდევარნი, გაზეთი „საბა“, მაისი, 2001 წ., #5, გვ. 10-11.

იმას, რომ დღემდე მას უბრალოდ კათოლიციზმისადმი „სიმპათიებით გამსჭვალულ“ მართლმადიდებელ ქრისტიანად წარმოაჩენდნენ)⁸³.

ამგვარ ნაჩქარევ დასკვნებს არ გააკეთებდნენ პატივცემული მკვლევრები, თუკი მხედველობიდან არ გამორჩებოდათ, თუ როგორ დაიცვა გიორგი ათონელმა, ბიზანტიის იმპერატორის წინაშე წარდგომისას, მრწამსის უცვალებლობის წესი. მათ არც იმით შეუწუხებიათ თავი, რომ გიორგი ათონელის სხვა დოგმატურ თარგმანებთან ერთობლიობაში განეხილათ წმიდა ათანასეს სიმბოლო. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სწორედ გიორგი ათონელის მიერ არის ქართულად გადმოღებული უდიდესი ანტილათინი საეკლესიო მოღვაწის, წმიდა ფოტი დიდის სიმბოლოც⁸⁴ (რასაც

⁸³ . რაც შეეხება უშუალოდ წმიდა ათანასეს აღსარების XX მუხლში არსებულ პრობლემატურ გამონათქვამს, მისი ობიექტური გააზრებისთვის ორიოდე სიტყვით შევეხოთ სხვა არანაკლებ პრობლემატურ ტერმინს, რომელიც ასევე გვხვდება წმიდა ათანასეს შემოქმედებაში. მხედველობაში გვაქვს ტერმინი „მსგავსი“. როგორც ცნობილია, მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ მიღებულ ტერმინ „ერთარსს“ (რომ ძე არის მამის ერთარსი), ნახევრადარიანელები უპირისპირებდნენ ტერმინ „მსგავსს“ (იხ. მაია რაფავა, ქართული დოგმატიკის ისტორიიდან, კრებული „მრავალთავი“, II, 1973 წ., გვ. 121). ამის გამო IV საუკუნეში, ტერმინი „მსგავსი“ არიანობის დევიზად ითვლებოდა და ქრისტიანების მხრიდან სასტიკ წინააღმდეგობას ხვდებოდა მისი არიანული გაგების გამო (იქვე, გვ. 122-123). მიუხედავად ამისა, არიოზისა და მისი მიმდევრების დიდი წინააღმდეგომი წმიდა ათანასე ალექსანდრიელი, სხვა ცნობილ მართლმადიდებელ მოღვაწეებთან ერთად, ასევე იყენებდა თეოლოგიურ ტერმინ „მსგავსს“ (იქვე). მაგრამ, რალა თქმა უნდა, მას არიანული გაგებით არ ხმარობდა. ამიტომ, რამდენადაც უმართებულო იქნებოდა წმიდა ათანასეს გამოცხადება არიოზის ერესის მიმდევრად მის მიერ ტერმინ „მსგავსის“ გამოყენების გამო, ამდენადვე უმართებულო იქნება მისი მიჩნევა ფილიოკვეს შესახებ პაპისტური სწავლების მქადაგებლად, მის აღსარებაში გამომკრთალი ორაზროვანი გამონათქვამის გამო.

⁸⁴ . თხზულებას ჰქვია: „აღსარება და უწყება და სასწაული მართლისა სარწმუნოებისა და წმიდათა კრებათათჳს, რომელთა დაამტკიცეს მართალი

ნამდვილად არ გააკეთებდა კათოლიციზმის სათნომყოფელი კაცი და ლათინების მიერ მრავალგზის ანათემირებული⁸⁵ მართლმადიდებელი პატრიარქის სარწმუნოების აღსარებას არ თარგმნიდა).

ამავე დროს, სწორედ წმიდა გიორგი ათონელმა მოგვცა ნიკეა-კონსტანტინეპოლის მრწამსის საბოლოოდ ჩამოყალიბებული ქართული რედაქცია⁸⁶, რომელიც დღესაც არის აღსარებული საქართველოს ეკლესიაში და იგი ნამდვილად არის ფილიოკვედაურთველი. ხოლო თავის ერთ-ერთ ანდერძში მას დიდებულად აქვს აღნიშნული, რომ ყოვლადწმიდა სამება „გურწმენა და აღვიარებთ და გუჭუწყა ჭეშმარიტებაჲ მისი მართლმადიდებლობით ხარებისაებრ“⁸⁷. როგორც ცნობილია, „მართლმადიდებლობით ხარებისაებრ“ სამების რწმენა აღნიშნავს რწმენას იმისა, რომ სულიწმიდა გამოვალს მამისაგან⁸⁸.

სარწმუნოება, რომელი ესე ჯერ-არს ყოველთა ქრისტიანეთათჳს, რომელნი კეთილად და გამოწლილვით მეცნიერ იყუნენ, წმიდა ფოტი პატრიარხის აღწერილი“ (იხ. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, ყოფილი საეკლესიო მუზეუმის (A) კოლექცია, ტ. 1, ნაკვ. 4, თბ., 1985 წ., გვ. 114-115; კ. კეკელიძე, ძველი ქართული მწერლობის ისტორია, ტ. 1, თბ., 1951 წ., გვ. 202). აღსანიშნავია, რომ ეს ძველი ჩამოჰგავს ფოტი დიდის სიტყვისგებას რომის პაპ ნიკოლოზ I-სადმი. იხ. მისი ეპისტოლე, V თავი.

⁸⁵ . Огицкий Д., Козлов М., ხს. წიგნი, გვ. 40; ანტონ კარტაშევი, ეკლესიათა ერთობა ისტორიის გადმოსახედიდან, კრებული „ეკლესიის საზღვრები (მართლმადიდებელი ეკლესია და ეკუმენური მოძრაობა“, თბ., 2000 წ., გვ. 37.

⁸⁶ . კ. კეკელიძე, ძვ. ქართ. მწერლობის ისტორია, ტ. 1, გვ. 201-202. გიორგისეულ რედაქციაში ვხვდებით ტერმინ „თანაარსს“ („თანაარსი მამისა“). შემდეგში, მრწამსის გიორგი ათონელისეულ რედაქციაშიც შეიტანეს შესწორება. აზრის უფრო ზედმიწევნითი გადმოცემის მიზნით ჩაიწერა „ერთარსი მამისა“.

⁸⁷ . ქართ. ხელნაწ. აღწერილობა (A კოლექც.), ტ. 1, ნაკვ. 4, გვ. 77.

⁸⁸ . იხ. მრწამსის VIII მუხლი.

ეს ყველაფერი რომ გაეთვალისწინებინათ პატივცემულ მკვლევრებს, დარწმუნებული ვართ, მათივე მეცნიერული კეთილსინდისიერება არ მისცემდა მათ იმის საშუალებას, რომ წმიდა გიორგი ათონელი კათოლიკედ გამოეცხადებინათ. ამავე დროს, ნებსით თუ უნებლიედ, მათ კიდევ ერთი შეცდომა დაუშვეს - საერთოდ მცდარად გაიგეს იმ ანდერძის შინაარსი, რომელსაც გიორგი ათონელი დაურთავს წმიდა ათანასეს სიმბოლოს.

ღირსი მამის ანდერძი, რომლის ტექსტი სრულად გვაქვს ზევით მოყვანილი, მიზნად ისახავს ორ რამეს - პირველი: მკითხველს დაუსახელოს წყარო, საიდანაც მოხდა წმიდა ათანასეს „მართლისა სარწმუნოების აღსარების“ ქართულად თარგმნა (როგორც ჩანს, ესაა ბერძნულენოვანი „ჰრომთა წიგნი“) და მეორე: წყაროს დასახელების კვალობაზე მიუთითოს, რომ პასუხისმგებლობა მისი ტექსტის სისწორის შესახებ სწორედ ამ „ჰრომთა წიგნის“ შემდგენელს (თუ შემდგენლებს) ეკისრება.

თავის უაღრესად მოკლე ანდერძში ღირსი გიორგი ათონელი ნამდვილად არ ისახავს მიზნად, რაიმე სახის შეფასება მისცეს მის მიერ ნათარგმნ ძეგლში არსებულ ბუნდოვან გამონათქვამს. და, შეიძლება ითქვას, იგი შეგნებულად იკავებს კიდევ თავს ყოველგვარი აზრის გამოთქმისგან.

ასეთ ვითარებაში პატივცემულმა მკვლევრებმა როგორღაც მოახერხეს და ღირსი მამის ანდერძი ისე წაიკითხეს, თითქოს გიორგი ათონელი აზრსაც გამოთქვამდეს და პირდაპირ იწონებდეს კიდევ დასავლურ პნევმატოლოგიურ ფორმულას.

კერძოდ, მათ ჩათვალეს, რომ გიორგი ათონელის ანდერძში შემკლებული სახით დამოწმებული წმიდა ათანასეს თხზულების სათაური („მართლისა სარწმუნოებისა

აღსარება⁸⁹) თურმე ყოფილა ღირსი მამის მხრიდან მაინცდამაინც დასავლური პნევმატოლოგიური ფორმულის მხარდასაჭერად გაკეთებული განცხადება.

სინამდვილეში, საქმე სულ სხვაგვარად არის. მაშინ, როცა გიორგი ათონელმა „ფრიადითა გამოწულილვითა და გამოძიებითა“⁹⁰ ქართული საეკლესიო წიგნები „ბერძულსა შეაწამნა და ყოვლისა ნაკლულევანებისაგან განასრულნა და სიტყუადუხჭირობისა და ვერაგობისაგან განაშუენა“⁹¹, ასეთ დროს, მას წმიდა ათანასეს სიმბოლოს ტექსტი ბერძნულ დედანთან „შეუწამებელი“ დარჩა. ამის შესახებ აქვს კიდევ აღნიშნული თავის ანდერძში, რომ იგი „ჰრომთა წიგნიდან“ გადმოიღო.

წმიდა ათანასეს აღსარების ბერძნულთან „შეუწამებლად“ გადმოღების ფაქტი გვაფიქრებინებს, რომ ჩვენ ხელთა გვაქვს ამ დოგმატური ძეგლის ქართული თარგმანის პირველადი რედაქცია. რომ იგი ნამდვილად წარმოადგენს „შავად შესრულებულ“ პირველად თარგმანს, რომლის შემდგომი რედაქტირება (ბერძნულ ნუსხებთან შეწამება - კრიტიკული

⁸⁹ . წმიდა ათანასეს სიმბოლოს, მის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ნუსხებში ეწოდება „აღსარება წმიდისა და უბიწოთა ქრისტეანეთა სარწმუნოებისა“... [A-584] და „აღსარება წმიდისა და მართლისა და უბიწოთა ქრისტეანეთა სარწმუნოებისა“... [Jer-151] (იხ. ე. კოჭლამაზაშვილი, ა. ღამბაშიძე, ხს. შრომა, გვ. 155-156). ჩვენ ხაზგასმით გამოვყავით ის სიტყვები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ გიორგი ათონელის ანდერძში ნამდვილად შემოკლებული სახით არის დამოწმებული წმიდა ათანასეს თხზულების სათაური. პატივცემულმა მკვლევრებმა არ გაითვალისწინეს, რომ ძველი ქართულის პუნქტუაციაში სასვენი ნიშანი ბრჭყალები („“) არ სრსებობდა, რითაც ხდება დამოწმებული ციტატისა თუ სათაურის გამოყოფა ძირითადი ტექსტიდან. ამის არგათვალისწინების გამო მათ ვერ შეამჩნიეს მამა გიორგის ანდერძში დამოწმებული წმიდა ათანასეს სიმბოლოს სათაური და სწორედ ეს სიტყვები მიიჩნიეს გიორგი ათონელის მიერ მაინცდამაინც ფილიოკვს დადებით შეფასებად.

⁹⁰ . ქართ. ხელნაწ. აღწერილობა (A კოლექც.), ტ. 1, ნაკვ. 4, გვ. 64.

⁹¹ . გიორგი მცირე, ცხორება..., გვ. 146.

ტექსტის დადგენა) თვითონ გიორგი ათონელმა, როგორც ჩანს, ვეღარ მოახერხა. შესაძლოა, იმის გამო, რომ მას ამ თხზულების შესაწამებელ-შესადარებელ ბერძნულ დედნებზე უბრალოდ ვერც კი მიუწვდებოდა ხელი (XIII საუკუნეზე უადრესი ბერძნული ნუსხები მოცემული ძეგლისა ხომ უბრალოდ არ მოიპოვება⁹²).

საერთოდ, საეკლესიო-მთარგმნელობითი მოღვაწეობის ხასიათი გვაფიქრებინებს, რომ ეს მართლაც ასეა. ისევე, როგორც თვითონ გიორგი ათონელს (და არა მხოლოდ მას) უხდებოდა მისი წინამორბედი ქართველი წიგნიერი მოღვაწეების მიერ უწინ ქართულად გადმოღებული ტექსტების ბერძნულთან შეწამება-რედაქტირება, სწორედ ასევე მოხდა გიორგი ათონელის მოცემულ თარგმანთან დაკავშირებით. წმიდა ათანასეს „მართლისა სარწმუნოებისა აღსარებად“ საქართველოს ეკლესიაში დამკვიდრდა სათანადო შესწორებით. იგი დასაწყისში აქვს დართული ქართულ დავითნს.

გიორგი ათონელის, როგორც მართლმადიდებელი საეკლესიო მოღვაწის, სახელს არანაირად არ შეიძლება მიადგეს ჩრდილი იმ ფაქტის გამო, რომ მან უცვლელი სახით გადმოიღო „ჰრომთა წიგნიდან“ წმიდა ათანასეს სიმბოლოს პრობლემური ადგილი⁹³. პირიქით, ამით მან კარგი საქმე გააკეთა, რადგან მისი მომდევნო თაობების მთარგმნელ-რედაქტორებს საშუალება მისცა დანამდვილებით სცოდნოდათ, წმიდა ათანასეს „მართლისა სარწმუნოებისა აღსარების“ რომელ

⁹² . ნ. პაპუაშვილი, ხს, წერილი, გვ. 5.

⁹³ . ცნობილია, რომ მას, წმიდა ექვთიმესგან განსხვავებით, ნაკლებად ახასიათებდა კლება და მატება (კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, 1, თბ., 1960 წ., გვ. 223; ელგუჯა ხინთიბიძე, ქართულ-ბიზანტიური ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიისათვის, თბ., 1982 წ., გვ. 114).

რედაქციაზე მიუწვდებოდა მას ხელი, ანუ რომელი ტექსტი იყო წარმოდგენილი მის მიერ მითითებულ „ჰრომთა წიგნში“.

დაბოლოს, იმის შესახებ, რომ წმიდა ათანასეს სიმბოლოში არსებული ორაზროვანი გამონათქვამი მართლმადიდებელ აღმოსავლეთში სულაც არ მიაჩნდათ დასავლურ პნევმატოლოგიურ ფორმულად, ნათლად ჩანს გრიგოლ კვიპრელის თხზულებებიდან. როგორც ცნობილია, პატრიარქი გრიგოლი ათანასე დიდისა და სხვა მამების მსგავს გამონათქვამებს განმარტავს მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიციიდან⁹⁴. ასე რომ, სანამ იმას იტყოდნენ, ათანასეს სიმბოლოს თარგმნით გიორგი ათონელმა კათოლიკურ დოგმატს დაუჭირაო მხარი, ჯერ ის უნდა გამოერკვიათ, არის კი საერთოდ კათოლიკური დოგმატი წმიდა ათანასეს სიმბოლოში? - გრიგოლ კვიპრელის თხზულებები ნათლად წარმოაჩენენ, რომ არა.

IV. არის თუ არა გიორგი ათონელი ქართული რეფორმაციის სათავის დამდები -

მოგვაჩნია, რომ ეს იმდენად უსაფუძვლო ბრალდებაა, მასზე სიტყვის გაგრძელება იქნებ არც კი ღირდეს. ამ გაუგებრობის მიზეზი მდგომარეობს რეფორმისა და რეფორმატორობის სხდასახვაგვარად გააზრებაში საერო და საეკლესიო ისტორიოგრაფიის მიერ.

საეკლესიო ისტორიოგრაფია რეფორმაციას უწოდებს სარწმუნოებაში მანამდე არარსებული და ეკლესიისათვის უცხო სიახლის შემოღებას, ანუ ერეტიკულ განმახლებლობას, რაც ნამდვილად არ უკავშირდება გიორგი ათონელის სახელს. მაშინ, როცა საერო ისტორიოგრაფია თითქმის ყველაფერს, მათ

⁹⁴ . об. Святейшего патриарха Григория (Кипрского), «О тайноводстве Св. Духа» და «Самая сильная апология против нападков на его свиток», «Христианское Чтение», 1889, т. II, с. 545-570.

შორის მთარგმნელობით მოღვაწეობასაც კი, რეფორმაციას უწოდებს.

სინამდვილეში ექვთიმე და გიორგი ათონელებს მხოლოდ პირობითად შეიძლება ვუწოდოთ რეფორმატორები მათი მთარგმნელობითი მოღვაწეობის გამო. რადგან მათი ღვაწლით საქართველოს ეკლესიაში ძველი იერუსალიმური ლიტურჯიის მაგიერ გაბატონდა ბიზანტიური ღმრთისმსახურების წესები⁹⁵ და ქართული მწერლობა გამდიდრდა ახალი მადლმოსილი საღმრთისმსახურო თარგმანებით⁹⁶. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა ნამდვილი რეფორმა (მისი საეკლესიო გაგებით), თუკი მას შედეგად მოჰყვებოდა მართლმადიდებელი ეკლესიისთვის უცხო რაიმე სიახლის შემოღება და სარწმუნოების თუნდაც იოტისოდენით შეცვლა.

ამგვარი უწყინარი და ეკლესიის აღმაშენებელი „რეფორმატობის“ აღრევა და გაიგივება იმ ნამდვილ რეფორმაციასთან, რომელიც ჯერ პაპიზმის, ხოლო შემდეგ პროტესტანტიზმის სახით გამოვლინდა დასავლეთში და რომელსაც შედეგად მოჰყვა ეკლესიის დოგმატური და კანონიკური საფუძვლების გაუგონარი ნგრევა და თითქმის სრული უგულებელყოფა, მეტად მცდარი და უმართებულოა.

ჩვენ უბრალოდ გაცეხებული ვართ, როგორ მოახერხეს ცალკეულმა მკვლევრებმა რეფორმაციის დანახვა იმაში, რომ სამშობლოში ჩამობრძანებულმა გიორგი ათონელმა „ცხადნი და დაფარულნი უწყსობანი განჰმართნა“ და „პირველად ყოვლისა აღლესა მახვლი მხილებისაჲ მეფეთა მიმართ... რადთა არა ჰყიდდეს საეპისკოპოსოთა“; ან იმის გამო, რომ მან ბაგრატ IV-ს მოუწოდა „რადთა არა მისდრეკდეს სასწორსა სიმართლისასა დიდისა მიმართ, გინა მცირისა“; რომ მღვდელმთავარნი

⁹⁵ . ნ. პაპუაშვილი, ხს. წიგნი, გვ. 4.

⁹⁶ . ე. ხინთიბიძე, ხს. წიგნი, გვ. 113-114.

„თუალ-ღებით ჳელთ-დასხმასა არა ჳყოფდენ და უღირსთა მღღელთა არა აკურთხევენ, და რაფთა ამცნებდენ... უღირსთა არა ჳიარებად, და რაფთა არა შეჳკრებდენ ოქროსა და ვეცხლსა, არამედ უმეტეს ყოვლისა სწყალობდენ გლახაკთა და უღონოთა“; ხოლო მღვდლებსა და დიაკვნებს ასწავლიდა „მორჩილებასა ეპისკოპოსთა“ და „არა ვისა თუალთ-ღებით მიცემად“ ჳიარებისა⁹⁷.

განა ყოველივე ამის გამო წმიდა გიორგი ათონელი უნდა მივიჩნიოთ საქართველოს ეკლესიაში რეფორმაციის სათავის დამდებად? მეფეთა მამხილებლობა ეკლესიაში ხომ ყოველთვის იყო, გიორგი ათონელამდეც და მას შემდეგაც. ისევე, როგორც სული წმიდის მადლით ვაჳრობის ყოველგვარი გამოვლინება (მათ შორის სიმონია) ყოველთვის იგმობოდა ეკლესიაში. არც უღირს სასულიეროთა გონივრული მხილება არის რეფორმაცია. ან განა სწავლება ჳიარების სინანულით მიღებისათვის, უვერცხლობისა, მოწყალებისა და მორჩილებისათვის რეფორმაციაა? ეს ყოველივე გიორგი ათონელამდეც იყო ეკლესიაში და მას შემდეგაც არის.

მართალია, ლუთერი და სხვა პროტესტანტი ლიდერები გამოდიოდნენ მსგავსი სოციალური მოთხოვნებით, მაგრამ ისინი თავისთავად ამის გამო კი არ არიან რეფორმატორები, არამედ იმ მოდერნისტული საქმიანობისთვის, რასაც შედეგად მოჳყვა საეკლესიო საიდუმლოებათა და განწესებათა უარყოფა და სარწმუნოებრივი დოგმატების რღვევა. ამის მსგავსი არაფერი გიორგი ათონელს არათუ არ ჩაუდენია, არც კი უფიქრია მსგავსი ნაბიჯის გადადგმა. და საერთოდ, არანაირი რეფორმაცია არ უკავშირდება მის სახელს.

⁹⁷ . გიორგი მცირე, ცხორებად..., გვ. 162-163.

× × ×

გიორგი ათონელს მისი თანამოღვაწენი იცნობდნენ, როგორც მართლმადიდებელი სარწმუნოების შეუორგულეებელ აღმსარებელს: „აროდეს არ მიხედენ შენ გზათა თემანელთასა“, - ვკითხულობთ ერთ-ერთი ათონელი ჰიმნოგრაფის მიერ გიორგისადმი მიმართულ შესხმაში⁹⁸. თემანელთა გზა უშჯულოთა გზას აღნიშნავს. თემანი ბიბლიური ქალაქია, სადაც მკვიდრობდა უღმერთო ხალხი (იობის წიგნი 6,19)⁹⁹. და მათი გზისკენ გიორგი ათონელს „აროდეს არ მიუხედავს“, ესე იგი უღმერთობის, ერესის გზას იგი არასოდეს არ დასდგომია.

„აღვლე დელე საგლოველი მახვილწვდილმან მოძღვრებითა“, - მიმართავს ზემოხსენებული ჰიმნოგრაფი გიორგის¹⁰⁰. დელე გლოვისა, ისევე როგორც თემანი, ბიბლიური გეოგრაფიული სახელია. ამ დელეში დავით წინასწარმეტყველმა სძლია ფილისტიმელთა ლაშქარს (II მეფეთა წიგნი 5,17-25)¹⁰¹. გლოვის დელე, როგორც ბრძოლის ველი, არის სიმბოლური სახე ამა სოფლისა. და აი, წმიდა მამამ, თავისი მართლმკვეთელობით „მახვილწვდილმა მოძღვრებითა“ აღვლო ეს დელე და ზეციურ (მოზეიმე) ეკლესიაში აღვიდა, ვითარცა ძლევაშემოსილი მეზრძოლი ქრისტესი.

⁹⁸ . ივანე ლოლაშვილი, XI საუკუნის უცნობი პოეტური თხზულებანი (ათონის ივერიის მონასტრის ხელნაწერთა კოლექციიდან), ჟურნალი „მნათობი“, 1982 წ., 4, გვ. 158. პატივცემული მკვლევარი აქ აღნიშნავს, რომ მოცემული ძეგლის ავტორი არის წმიდა ეფრემ მცირე, მაგრამ, როგორც შემდეგ გამოჩნდა, მისი ავტორი არის ათონის მთაზე მოღვაწე უცნობი ქართველი ჰიმნოგრაფი (იხ. ვ. სილოგავა, ათონის ქართული სიძველეებიდან, ახალციხე, 2000 წ., გვ. 10).

⁹⁹ . ივ. ლოლაშვილი, ხს. პულიკაცია, გვ. 159.

¹⁰⁰ . იქვე, გვ. 158.

¹⁰¹ . იქვე, გვ. 159.

„ნეტარებით იქები შენ ნათესავთა ყოველთაგან - იონთა და ქართველთაგან გონიერთაგან გიორგი!“ - ვკითხულობთ ასევე ზემოხსენებულ ძეგლში¹⁰². და მართლაც, როგორც საქართველოს ეკლესიამ გამოაცხადა ქართველთა ეროვნულ წმიდანად სპარსელი რაჟდენ პირველმოწამე, ევსტათი მცხეთელი (გვირობანდაკ-ყოფილი), არაბი აზო და ნეოფიტე ურბნელი (ომარ-ყოფილი), ასევე საბერძნეთის ეკლესიამაც თავისი ეროვნული წმიდანების გვერდით დააყენა გიორგი ათონელი¹⁰³, როგორც „სრული ბერძენი“, ანუ ყოვლითურთ-ყოვლადვე მართლმადიდებელი ქრისტიანი. გიორგი ათონელის ცხოვრებაში ვკითხულობთ, რომ იგი იყო „მოშურნე სარწმუნოებისაჲ მსგავსად დიდისა ელიასა“.

წმიდა გიორგი ათონელს ქების სიტყვები და საგალობლები მიუძღვნეს ღირსმა გიორგი დაყუდებულმა, გიორგი მცირემ, ეზრა ათონელმა და სხვა მთაწმიდელმა მოსაგრებმა. მის პატივსაცემად საგალობლები და სვინაქსარული საკითხავები შეადგინეს დომენტი კათალიკოსმა, ბესარიონ ორბელიშვილმა, ეფთვიმე ბარათაშვილმა, ალექსი მესხიშვილმა, კათალიკოსმა ანტონ ბაგრატიონმა, ნიკოლოზ თბილელმა და სხვა საეკლესიო მოღვაწეებმა. მას დიდად აფასებდა სულხან-საბა¹⁰⁴. და არც ერთ მათგანს, მის თანამედროვეთაგან დაწყებული (რომელნიც ახლოს იცნობდნენ მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას), შემდეგი დროის გაკათოლიკებული ქართველი მოღვაწეების თათვლითაც კი, აზრად არ მოსვლია, გამოეცხადებინა გიორგი

¹⁰² . იქვე, გვ. 160.

¹⁰³ . ზ. ჭუმბურიძე, ხს. წიგნი, გვ. 217.

¹⁰⁴ . ელენე მეტრეველი, ნარკვევები ათონის კულტურულ-საგანმანათლებლო კერის ისტორიიდან, თბ., 1996 წ., გვ. 261; გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმიდელისა, ივ. ლოლაშვილის გამოცემა, თბ., 1994 წ., გვ. 17, 46, 53, 55, 60-62.

ათონელი კათოლიციზმის სათნომყოფელად და მართლმადიდებელი სარწმუნოების არამტკიცე აღმსარებლად.

მოსაზრებები მისი კათოლიციზმისკენ მიდრეკილების შესახებ საკმაოდ გვიან გავრცელდა. თანაც, მეცნიერული თვალსაზრისით, ისინი სათანადოდ დაუსაბუთებელი და ობიექტურობას მოკლებულია. ამიტომ, ჩვენ მათ ვერ შევიწყნარებთ. ჩვენ მიგვაჩნია, რომ წმიდა გიორგი ათონელი ისეთივე ანტილათინი საეკლესიო მოღვაწეა, როგორც მისი პირადი მეგობარი პეტრე ანტიოქიელი პატრიარქი.